სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №101

ქ. ბათუმი 23 აპრილი 2015 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის პირველი მოადგილის - მამია ბერძენიშვილის სახით და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი თეიმურაზ წულუკიძე, პ/ნ 61006012774 (შემდგომში „შემსრულებელი"), („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი - 60100000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება" – დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - დამკვეთს, ხოლო ერთი - შემსრულებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „დამკვეთი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „შემსრულებელი" – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსრულებელმა, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად 2015 წლის 26-29 აპრილს (4 დღე) უნდა უზრუნველყოს ლიტვის რესპუბლიკიდან დეპარტამენტის სტუმრების (სულ 10 პიროვნება) ტრანსპორტით მომსახურება „მერსედესი სპრინტერის" მარკის მიკროავტობუსით სახელმწიფო ნომერი GGP- 315 შემდეგი მიმართულებით: დახვედრა ქუთაისში, ტრანსპორტირება ქალაქის ტერიტორიაზე, ქალაქის ტური, ადგილობრივი ისტორიულ- კულტურული ძეგლები და ღირშესანიშნაობები, ქობულეთი, მტირალა, გონიოს ციხე, მაღალმთიანი აჭარა, ქედა, ტრანსფერი ქუთაისში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1125 ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი (20%) 225 (ორასოცდახუთი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.3. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) გაფორმებით.

5.2. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირებია:
ა) თამარ მგელაძე - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების უფროსი;
ბ) სოფიკო გოთუა - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.
გ) ნონა მარკარიანი - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს სათანადო ხარისხის მომსახურება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. დამკვეთი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და დამკვეთის მოთხოვნებთან.

7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) საჭიროების შემთხვევაში დამკვეთის მხრიდან განახორციელებს - ნონა მარკარიანი, მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 23 აპრილიდან და ძალაშია 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	თეიმურაზ წულუკიძე
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	მისამართი: ხელვაჩაური, სოფელი მახვილაური
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	პირადი ნომერი: 61006012774
სს "თიბისი ბანკი"	სს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ №GE62 TB79 0173 60101000 15	ანგარიში GE96 BG 00 0000 0625 5321 00
თავმჯდომარის პირველი მოადგილე	ფიზიკური პირი
_____/მამია ბერძენიშვილი/ ბ.ა.	_____/თეიმურაზ წულუკიძე/ ბ.ა.